საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 21 0000442166

13/05/2021

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო)სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. ამასთან, აკრედიტაციის პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, აკრედიტაციის საბჭო აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, უფლებამოსილია შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად, ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით, განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ამგვარი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ხარვეზები არ/ვერ გამოსწორდა, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის/პირობითი აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 12 ოქრომბერს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა N978188 სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის N988447, 15.10.2020) „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 4 ნოემბრის N1067129 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 01 თებერვლის № 49001 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 17 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2021 წლის 23 მარტს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაში ამოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			•	
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			•	
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		•		
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			•	
5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		•		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 16 აპრილს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, რეკომენდაციები და რჩევები. შესაბამისად პირველი სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, მეორე სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი, მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“, მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 17 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით და 2 წელში მონიტორინგის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „გამოყენებითი ბიომეცნიერებების“ (ბიოტექნოლოგია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 13 მაისის №441197 სხდომის ოქმის № 2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები ნაწილობრივ გაიზიარა და განსაზღვრა შემდეგი რედაქტირებით:

4.1. აუცილებელია ზოგიერთი სასწავლო კურსის დამატება, როგორიცაა ორგანული, ფიზიკური და კოლოიდური ქიმია, რადგან პროგრამის საფუძვლიანად ათვისება არ იყოს დაკავშირებული სტუდენტის დამატებითი კომპონენტის არჩევაზე;
4.2. პროგრამის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად, აუცილებელია სასწავლო კურსების უმეტესობაში, როგორც ლაბორატორიული მეცადინეობების ხანგრძლივობის გაზრდა, ისე ბიოტექნოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვანი საკითხების შინაარსობრივად გაღრმავება, ამასთან ერთად მნიშვნელოვანია კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაც, რათა სასწავლო კურსები უფრო მეტად ფოკუსირდეს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე;
4.3. დაზუსტდეს სწავლის შედეგები საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, როგორც ბიოტექნოლოგიის მიმართულების წარმატებით დასამკვიდრებლად, ისე განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად საერთაშორისოდ აღიარებულ უნივერსიტეტებში.
4.4. აუცილებელია მე-5 კომპონენტის (დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი) დამატებითი პროგრამის არჩევის მექანიზმის მოდიფიცირება, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამისათვის აუცილებელი სასწავლო კურსების არჩევა რადგან, სტუდენტზე მოცემული თავისუფალი არჩევანის შემთხვევაში, შესაძლოა რისკის ქვეშ დადგეს პროგრამის (დამატებითი (minor) პროგრამა - 60 კრედიტი) საბოლოო შედეგზე გასვლა;
4.5. აუცილებელია სასწავლო კურსების უმეტესობის (სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით) პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე ფოკუსირება. ასევე, დარგისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო კურსების შემთხვევაში, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების გაზრდა;
4.6. ლაბორატორიული მეცადინეობების დამატება, ხანგრძლივობის გაზრდა და შესაბამისად შესასრულებელი ამოცანების გაღრმავება შემდეგ სასწავლო კურსებში: ზოგადი და არაორგანული ქიმია, ბიოქიმია I, ბიოქიმია II, უჯრედის ბიოლოგია, გენეტიკა და მოლეკულური ბიოლოგია, მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგია, ლაბორატორიული კვლევის მეთოდები ბიოტექნოლოგიაში;

4.7. ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიული კურსის შემთხვევაში, გადაიხედოს სასწავლო კურსის შინაარსი; სასურველია ლაბორატორიული კურსი არ მოიცავდეს ლექციებს. შესაძლოა მხოლოდ რამდენიმე სემინარს დაეთმოს დრო. სასურველია, ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება მეორე, მესამე და მეოთხე სასწავლო წლების მიხედვით;
4.8. სასურველია სილაბუსებში ლიტერატურის შემოწმება და განახლება. კერძოდ, თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატება, ასევე არააკადემიური წყაროების ამოღება;
4.9. სილაბუსებში დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა და ამოღებულ იქნას არააკადემიური წყაროები;
4.10. აუცილებელია სტუდენტების გაცვლით და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა, რაც მნიშვნელოვანია მათი მომავალი კარიერული წინსვლისათვის; ასევე ვფიქრობთ, უსდ-მ უნდა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტების მეტი ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონფერენციებში;
4.11. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დაკომპლექტებაში თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული კრიტერიუმების გამოყენება; განსაკუთრებით, გათვალისიწინებული უნდა იქნას ბიოტექნოლოგიის და მომიჯნავე მიმართულებების სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
4.12. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდეს სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა და ლაბორატორიული დანადგარები;
4.13. ინსტიტუციამ შეიმუშაოს ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და შენარჩუნება-მომსახურების გეგმა, შესრულების ვადების და ფინანსური რესურსების მითითებით;
4.14. რეკომენდირებულია შეფასების მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესებადეს;
4.15. რეკომენდირებულია ეფექტური გამოკითხვის ფორმულარების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს კონკრეტული პრობლემების გამოვლენას;
4.16. იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ლაბორატორიული მუშაობა დიდი წილით არის წარმოდგენილი, (მაგ; „ლაბორატორიული კვლევის მეთოდები ბიოტექნოლოგიაში“), გამოიკვეთოს ლაბორატორიული უნარ-ჩვევების შეფასების კომპონენტი/ასპექტები.
4.17. სასწავლო კურსის „ბიოფიზიკა“ წინაპირობად განისაზღვროს ზოგადი ფიზიკის კურსი.
4.18. დაწესებულებამ ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას და გაითვალისწინოს ეს კომპონენტი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასების პროცესში.
რჩევები:
1. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებული გამოწვევების დასაძლევად უსდ-მ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით შეიმუშავოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა;
2. პროგრამას უნდა ჰქონდეს საბაკალავრო ნაშრომის/კვლევითი პროექტის შეთავაზება არჩევითი კურსის სახით. აღნიშნული სტუდენტს გაუწევს მნიშვნელოვან დახმარებას ექსპერიმენტული კვლევის გამოცდილების მიმართულებით და დაეხმარება, გაიაზროს თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოწვევები;
3. აუცილებელია პროგრამის განმხორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის და შესაბამისად კვალიფიკაციის გაუმჯობესება/ამაღლება. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური პერსონალი ჩართული იყოს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეთ სამეცნიერო პუბლიკაციები შესაბამისი მიმართულებით იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში;
4. ნივერსიტეტის ლაბორატორიებში არსებული თანამედროვე ხელსაწყოების გამართუ-ლად ამუშავება და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

5. როგრამის სახელწოდების ცვლილება: „გამოყენებითი ბიომეცნიერებები ან/და ბიოტექ-ნოლოგია“ ;
6. როგრამის გაძლიერებისთვის, დარგის სპეციფიკიდან და არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, სასურველია პროგრამაში თუნდაც თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების სახით იყოს წარმოდგენილი: ბიოსტატისტიკა, გენომიკა და პროტეომიკა, კომპიუტერული პროგრამირების ენა, ბოქიმიური ინჟინერიის პრინციპები, ბიოტექნოლოგია და გენეტიკური ინჟინერია სასწავლო კურსების ჩამონათვალი;
7. საყურადღებოა, რომ სტუდენტების რაოდენობასთან შესაბამისობაში იყოს ტექნიკურ-მა-ტერიალური ბაზა;
8. ასურველია გაიზარდოს სტუდენტების კარიერული მხარდაჭერა, კერძოდ, მიიღონ მეტი ინფორმაცია სტაჟირების შესახებ;
9. ასურველია თანამედროვე აღჭურვილობის შეძენა. მაგალითად,
ნანოფოტომეტრი/ნა-ნოდროფი და სხვა.
5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი (2022 წლის 13 მაისი).
5.1 მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვროს 2 წელი (2023 წლის 13 მაისი).
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 13 მაისს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ